# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 176

„ 19 ” მაისი 2017 წ

ქ. თბილისი

**„№01.11.12.022.023, №01.11.17.008.032 და №01.11.17.005.088 საკადასტრო ერთეულებით განსაზღვრული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის №160 განკარგულებაში შეცდომის გასწორების შესახებ**

საქართველოს კანონის - „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 59-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტრტის საკრებულომ დაადგინა:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა „№01.11.12.022.023, №01.11.17.008.032 და №01.11.17.005.088 საკადასტრო ერთეულებით განსაზღვრული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის №160 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტის პირველი აბზაციდან ამოღებულ იქნას სიტყვები „ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „№01.11.12.022.023, №01.11.17.008.032 და №01.11.17.005.088 საკადასტრო ერთეულების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის და დაინტერესებული კომპანია შპს „Portal”-თან (ს/ნ: 404989241) გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 15 თებერვლის №07.12.124 განკარგულებით გათვალისწინებული ქვემოთ მითითებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, შპს „Portal“-თან (ს/ნ: 404989241) ამ განკარგულების დანართით წარმოდგენილი გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.“

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი